

პირველი სექცია

საქმე გამოყენების მუხლის წინააღმდეგ

**CASE OF MAMEDOVA v. RUSSIA**

(განაცხადი № 7064/05)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2006 წლის 1 ივნისი

საბოლოო

23/10.2006

წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოო გახდება იმ  
გარემოებებში, რომლებიც კონვენციის 44-ე მუხლის მე-2  
პუნქტშია მოცემული. იგი შესაძლოა, დაექვემდებაროს  
რედაქციულ გადასინჯვას.

## **საქმეზე – Mamedova v. Russia –**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ (პირველი სექცია), შემდეგ მოსამართლეთა შემადგენლობით:

ბ-ნი ჩ.ლ. როზაკისი – თავმჯდომარე,  
 ქ-ნი ჯ. ვაჯიხი,  
 ბ-ნი ა. კოვლერი,  
 ბ-ნი ა. შტაინერი,  
 ბ-ნი კ. ჰაჯიევი,  
 ქ-ნი დ. სპილმანი,  
 ბ-ნი ს. ე. ჟებენსი – მოსამართლეები,  
 და ბ-ნი ს. ნილსენი – სექციის რეგისტრაცორი,

იმსჯელა განმარტოებით 2006 წლის 5 ოქტომბერს და  
 ამავე დღეს მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

### **პროცედურა**

1. საქმე მომდინარეობს რუსეთის მოქალაქე, ქ-ნი ოლგა ვიგიდის ასულ მამედოვას (შემდგომში – „განმცხადებელი“) მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად, 1999 წლის 29 ოქტომბერს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ შეტანილი განაცხადიდან (№ 59696/00).
2. განმცხადებელს წარმოადგენდა ბ-ნი მ. ოვჩინიკოვი და ბ-ნი ფ. ბაგრიანსკი – ვლადიმირში მოდვაწე ადვოკატები. რუსეთის მთავრობას (შემდგომში – „მთავრობა“) – ბ-ნი პ. ლაპტევი – ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი.
3. განაცხადი განსახილებად გადაეცა სასამართლოს პირველ სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). ხსენებულ სექციაში ჩამოყალიბდა პალატა, რომელმაც განიხილა საქმე (კონვენციის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).
4. 2005 წლის 21 ივნისს სასამართლომ გადაწყვიტა, მთავრობისათვის ეცნობებინა შეტანილი განაცხადის შესახებ. კონვენციის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად,

სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, თანადროულად განეხილა განაცხადის დასაშვებობის საკითხი და არსებითი მხარე. თავმჯდომარემ მიიღო გადაწყვეტილება განაცხადის პრიორიტეტული წესით განხილვასთან დაკავშირებით (სასამართლოს რეგლამენტის 41-ე მუხლი).

5. მთავრობამ გამოთქვა პრეტენზია, განაცხადის დასაშვებობისა და არსებითი მხარის თანადროულ განხილვასთან დაკავშირებით. მთავრობის პრეტენზის განხილვის შემდგომ სასამართლომ უარყო ეს უკანასკნელი.

## ზაჟუბი

### **1. საქმესთან დაკავშირებული გარემოებები**

6. განმცხადებელი დაიბადა 1974 წელს და ცხოვრობს ვლადიმირში, რუსეთი.

ა. განმცხადებლის წინააღმდეგ აღმრული სისხლის სამართალწარმოება

1. განმცხადებლის დაკავება და პატიმრობაში მოთავსება

7. 2004 წლის 20 ივნისს აღიძრა სისხლისსამართლებრივი გამომიება განმცხადებლის მიერ სხვა პირთან ერთად ფარული თაღლითობის სავარაუდოდ ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით.

8. 2004 წლის 22 ივნისს განმცხადებლის ბინა გაჩერიკეს და მას შეატყობინეს მის წინააღმდეგ არსებული ეჭვის შესახებ.

9. 2004 წლის 23 ივნისს განმცხადებელი დააკავეს და ბრალად წაუყენეს თაღლითობის ჩადენა დიდ თანხებთან დაკავშირებით, დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლის მე-3 პუნქტით.

10. 2004 წლის 24 ივნისს ვლადიმირის ფრუნზინსკის რაიონულმა სასამართლომ განმცხადებელს შეუფარდა პატიმრობა იმის საფუძველზე, რომ იგი ეჭვმიტანილი იყო სერიოზული დანაშაულის ჩადენაში და არსებობდა საშიშროება, რომ მიიმაღებოდა, რადგანაც მისი თანამზრახველი უკვე მიმაღელი იყო. მას ასევე შეეძლო მტკიცებულებათა განადგურება, რადგანაც იმ დროისათვის გარკვეული დოკუმენტები არ ყოფილა ამოღებული.

11. 2004 წლის 26 ივნისს განმცხადებელმა გაასაჩივრა ხსენებული გადაწყვეტილება. იგი მოითხოვდა შედარებით მსუბუქი აღკვეთის დონისძიების დანიშვნას და თხოვნით მიმართავდა სასამართლოს, მხედველობაში მიეღო ის ფაქტი, რომ მას ბრალად ედებოდა ფინანსური დანაშაულის ჩადენა, არ იყო ნასამართლევი, პქონდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და სამსახური ვლადიმირში, ოჯახური კავშირები, ცხოვრების სტაბილური წესი და ჰყავდა ორი სამი და ოთხი წლის შვილი. სურვილი რომ პქონოდა, დაემალებოდა გამოძიებას მის სახლში ჩატარებული ჩხრეკის შემდგომ. ის ფაქტი, რომ იგი არ დაემალა გამოძიებას, ადასტურებდა იმას, რომ მას არ გააჩნდა ამის სურვილი. განმცხადებელი ასევე ჩიოდა მისი პატიმრობის არაადამიანური პირობების შესახებ და ითხოვდა პირადად დასწრებას სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს წინაშე.

12. 2004 წლის 10 აგვისტოს ვლადიმირის საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა 2004 წლის 24 ივნისის პატიმრობის ბრძანება და დაადგინა, რომ ხსენებული გადაწყვეტილება იყო კანონიერი, საკმარისად დასაბუთებული და გამართლებული. საოლქო სასამართლოს აზრით, რაიონულმა სასამართლომ სწორად შეაფასა განმცხადებლის „პიროვნება“ და პროკურატურის მიერ წარდგენილი სხვა მასალები. სააპელაციო მოსმენა გაიმართა პროკურორისა, რომელმაც გაიმეორა რაიონული სასამართლოს წინაშე წარდგენილი არგუმენტაცია, და განმცხადებლის ორი ადვოკატის თანდასწრებით. განმცხადებლის თხოვნა დასწრების ნებართვასთან დაკავშირებით უარყოფილ იქნა იმ მოტივით, რომ მისი არგუმენტები ნათლად იყო ჩამოყალიბებული სააპელაციო საჩივარში და არ საჭიროებდა დამატებით განმარტებებს.

## 2. პატიმრობის გაგრძელება 2004 წლის 23 ნოემბრამდე

13. 2004 წლის 22 სექტემბერს ფრუნზინსკის რაიონულმა სასამართლომ გააგრძელა განმცხადებლის პატიმრობა 2004 წლის 23 ნოემბრამდე. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება დააფუძნა განმცხადებლისათვის წაუკისრებული ბრალდების სიმძიმესა და იმ ვარაუდზე, რომ განმცხადებელი შეიძლებოდა დამალვოდა გამოძიებას ან მას ხელი შეეშალა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის.

14. 2004 წლის 27 სექტემბერს განმცხადებელმა წარადგინა სააპელაციო საჩივარი. იგი ჩიოდა, რომ 2004 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება საკმარისად არ იყო მოტივირებული, რომ სასამართლოს მხედველობაში არ მიუღია მისი საქმის ინდივიდუალური გარემოებები და პატიმრობის არაადამიანური პირობები. განმცხადებელი გირაოთი გათავისუფლებას ითხოვდა.

15. სააპელაციო მოსმენა დაინიშნა 2004 წლის 19 ოქტომბერს. სენატულ დღეს მოსმენა გადაიდო, რადგანაც განმცხადებელი არ მიუყვანიათ სასამართლო შენობაში.

16. 2004 წლის 3 ნოემბერს ვლადიმირის საოლქო სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა მიზეზი ადგვეთის დონისძიების შეცვლისათვის და ძალაში დატოვა 2004 წლის 22 სექტემბერს მიღებული გადაწყვეტილება.

### **3. პატიმრობის გაგრძელება 2004 წლის 23 დეკემბრამდე**

17. 2004 წლის 22 ნოემბერს ფრუნზინსკის რაიონულმა სასამართლომ გააგრძელა განმცხადებლის პატიმრობა 2004 წლის 23 დეკემბრამდე და დაადგინა, რომ:

„... აუცილებელია მრავალი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება [განმცხადებლის] მონაწილეობით.

[განმცხადებელი] ბრალდებულია მმიმე დანაშაულის ჩადენაში. გარდა ამისა, გამოიყებამ წარმოადგინა დოკუმენტები, რომელთა თანახმადაც გათავისუფლების შემთხვევაში [განმცხადებელი] შესაძლოა მიმაღვოდა მართლმსაჯულებას და შეძლო ხელი შეეშალა ჭეშმარიტების დადგენისათვის“

18. 2004 წლის 1 დეკემბერს განმცხადებელმა შეიტანა სააპელაციო საჩივარი. 2004 წლის 27 დეკემბერს ვლადიმირის საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა გადაწყვეტილება. სასამართლომ დაადგინა, რომ გადაწყვეტილება კანონიერი და საკმარისად დასაბუთებული იყო.

### **4. პატიმრობის გაგრძელება 2005 წლის 23 იანვრამდე**

19. 2004 წლის 22 დეკემბერს ფრუნზინსკის რაიონულმა სასამართლომ გააგრძელა განმცხადებლის პატიმრობა 2005 წლის 23 იანვრამდე და საფუძვლად დაუდო წაყენებული

ბრალდების სიმძიმე და გამოძიების გაგრძელების საჭიროება. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ განმცხადებელი შესაძლოა მიმალულიყო, ხელი შეეშალა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ან ხელახლა ჩაედინა დანაშაული.

20. 2004 წლის 27 დეკემბერს განმცხადებელმა წარადგინა სააპელაციო საჩივარი. კერძოდ, იგი უთითებდა მისი პატიმრობის არაადამიანურ პირობებზე და გირაოთი გათავისუფლებას ითხოვდა.

21. 2005 წლის 1 თებერვალს ვლადიმირის საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა 2004 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება. კერძოდ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „პატიმრობის პირობები არ შეიძლება მიღებულ იქნეს მხედველობაში, როდესაც ხდება გადაწყვეტილების მიღება პატიმრობის გაგრძელებასთან დაკავშირებით“.

## 5. პატიმრობის გაგრძელება 2005 წლის 20 მარტამდე

22. 2005 წლის 21 იანვარს ფრუნზინსკის რაიონულმა სასამართლომ გააგრძელა განმცხადებლის პატიმრობა 2005 წლის 20 მარტამდე. დასაბუთება 2004 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილების ანალოგიური იყო.

23. 2005 წლის 24 იანვარს განმცხადებელმა შეიტანა სააპელაციო საჩივარი. მისი მტკიცებით, მან ციხეში იმ დროისათვის გაატარა 6 თვე და მისი პატიმრობის შემდგომი გაგრძელება, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, ნებადართული იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საქმე განსაკუთრებული სირთულის იყო. გამოძიებამ ვერ შეძლო იმის დამტკიცება, რომ განმცხადებლის საქმე განსაკუთრებული სირთულის იყო. გამოძიებამ ვერც იმის დასაბუთება შეძლო, რომ განმცხადებელი აპირებდა მიმალვას ან ჭეშმარიტების დადგენისათვის ხელის შეშლას. გამოძიებამ გაჩერიკა განმცხადებლის სახლი და ოფისი და ამოილო ყველა დოკუმენტი; ხსენებულიდან გამომდინარე, მას არ შეეძლო რაიმე დოკუმენტის განადგურება. განმცხადებელმა თხოვნით მიმართა სასამართლოს, მხედველობაში მიედო მისი, როგორც 2 მცირებლოვანი შვილის დედის, როგორც ვლადიმირში მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა და სამსახურის მქონე პირის, პირადი მდგომარეობა და წინასწარი პატიმრობის პერიოდში არსებული პატიმრობის არაადამიანური პირობები. განმცხადებლის მტკიცებით, მას არ მიეცა საშუალება,

გასცნობოდა იმ მასალებს, რომლებიც გამოძიებამ წარადგინა პატიმრობის გაგრძელების მოთხოვნის გასამყარებლად.

24. 2005 წლის 22 თებერვალს ვლადიმირის საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა 2005 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ მოიშველია პირველი ინსტანციის სასამართლოს არგუმენტაცია და განაცხადა:

„[განმცხადებლის] ადგომის იმ მოსაზრებას, რომ პატიმრობის გაგრძელებისას, აუცილებელია, მხედველობაში იქნეს მიღებული წინასწარი პატიმრობის პირობები საპყრობილებში, არ გააჩნია საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში...“

სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები (რუსეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 108-ე, 109-ე მუხლები) არ ითვალისწინებს გამოძიების მიერ პატიმრობის თხოვნასთან დაკავშირებით წარმოდგენილი მასალების გამჟღავნებას. სენებული მუხლები ასევე არ მოითხოვს, რომ სასამართლო ვალდებულია, მოისმინოს შესაბამის მხარეთა მოსაზრებები [სენებულ მასალებთან დაკავშირებით].“

## 6. პატიმრობის გაგრძელება 2005 წლის 20 მაისამდე

25. 2005 წლის 18 მარტს ფრუნზინსკის რაიონულმა სასამართლომ ბრძანა განმცხადებელის წინასწარი პატიმრობის გაგრძელება 2005 წლის 20 მაისამდე. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელი ბრალდებული იყო სერიოზული დანაშაულის ჩადენაში, აუცილებელი იყო დამატებითი გამოძიების ჩატარება და არ არსებობდა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საფუძვლები.

26. 2005 წლის 24 მარტს განმცხადებელმა შეიტანა სააპელაციო საჩივარი. 2005 წლის 19 აპრილს ვლადიმირის საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა სენებული გადაწყვეტილება.

## 7. პატიმრობის გაგრძელება 2005 წლის 20 ივნისამდე

27. 2005 წლის 19 მაისს ფრუნზინსკის რაიონულმა სასამართლომ გააგრძელა განმცხადებლის პატიმრობა 2005 წლის 20 ივნისამდე. სასამართლომ დაადგინა, რომ პატიმრობის გაგრძელება „ობიექტურად გამართლებული“ იყო საქმის სირთულის, წაყენებული ბრალდების სიმძიმის გამო და იმიტომ, რომ არსებობდა განმცხადებლის მიმაღვის, მისი

მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაში ჩარევისა და ჭეშმარიტების დადგენაში ხელის შეშლის საფრთხე.

28. განმცხადებელმა სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2005 წლის 27 მაისს. მან გაიმეორა ის არგუმენტები, რომლებიც წარდგენილი ჰქონდა 2005 წლის 24 იანვრის სააპელაციო საჩივარში და, ამავე დროს, დაამატა, რომ მისი მამა მძიმე ავადმყოფი იყო. 2005 წლის 21 ივნისს ვლადიმირის საოლქო სასამართლომ უარყო სააპელაციო საჩივარი.

#### **8. პატიმრობის გაგრძელება 2005 წლის 20 ივნისამდე**

29. 2005 წლის 17 ივნისს ფრუნზენსკის რაიონულმა სასამართლომ გააგრძელა განმცხადებლის პატიმრობა 2005 წლის 20 ივნისამდე. სასამართლომ მიუთითა საქმის სირთულეზე (საქმეზე არსებული 13 ტომი), შემდგომი გამოძიების საჭიროებაზე, წაყენებული ბრალდების სიმძიმესა და განმცხადებლის მიმალვის, მისი მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაში ჩარევისა და ჭეშმარიტების დადგენაში ხელის შეშლის საფრთხეზე.

30. 2005 წლის 28 ივნისს ვლადიმირის საოლქო სასამართლომ ბალაში დატოვა ხსენებული გადაწყვეტილება განმცხადებლის სააპელაციო საჩივრის განხილვის შედეგად.

#### **9. განმცხადებლის პატიმრობის შემდგომი გაგრძელება და მისი გათავისუფლება**

31. 2005 წლის 14 ივნისს გამოძიება დასრულდა და განმცხადებელი სამართალში მიეცა. განმცხადებლის ადვოკატებმა შუამდგომლობით მიმართეს სასამართლოს განმცხადებლის გათავისუფლებასთან დაკავშირებით.

32. 2005 წლის 19 ივნისს ვლადიმირის ლენინსკის რაიონულმა სასამართლომ საქმის მოსმენის დღედ დანიშნა 2005 წლის 2 აგვისტო და ბრძანა, რომ განმცხადებელი უნდა დარჩენილიყო პატიმრობაში.

33. 2005 წლის 2 აგვისტოს ლენინსკის რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საქმე მზად არ იყო არსებითად განსახილველად, რადგანაც განმცხადებელს არ ჰქონდა საქმარისი დრო საქმის მასალების გასაცნობად და საქმე დაბრუნა დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად.

სასამართლომ ბრძანა, რომ განმცხადებელი უნდა დარჩენილიყო წინასწარ პატიმრობაში.

34. 2005 წლის 4 აგვისტოს ვლადიმირის პროგურორმა შეცვალა ადგეთის ღონისძიება. განმცხადებელი გაათავისუფლეს ქალაქიდან გაუსვლელობის ბრძანებით.

#### **ბ. განმცხადებლის პატიმრობის პირობები**

35. განმცხადებელი პატიმრობაში იმყოფებოდა ვლადიმირის ოლქის № IZ-33/1 საპატიმრო დაწესებულებაში.

#### **1. პატიმართა რაოდენობა თითოეულ საკანზი**

36. მთავრობის მიერ წარმოდგენილი, საპატიმრო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ 2005 წლის 11 აგვისტოს გაცემული ცნობის თანახმად, განმცხადებელი იმყოფებოდა 4 საკანზი: №73 და №74 საკნებში (22კვ.მ., 18 ნარი, 15 პატიმარი საშუალოდ), №69 საკანზი (24 კვ.მ., 21 ნარი, 14 პატიმარი საშუალოდ) და №70 საკანზი (25 კვ.მ., 15 ნარი, 10 პატიმარი საშუალოდ). მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელს მუდმივად ჰქონდა პირადი ნარი.

37. განმცხადებელი სადაცოდ არ ხდიდა საკნების ფართსა და ნარების რაოდენობას, თუმცა განმცხადებელი არ ეთანხმებოდა მთავრობის მიერ წარმოდგენილ საკნებში მყოფ პატიმართა რაოდენობას. მისი მტკიცებით, 2004 წლის ივლისიდან 2005 წლის მარტამდე №73 საკანზი მასთან პატიმრობაში იმყოფებოდა 15-დან 22 პატიმრამდე; 2005 წლის 2 მარტიდან 4 მარტამდე იგი იმყოფებოდა №69 საკანზი, რომელშიც შესახლებული იყო 14 პატიმარი; ამის შემდგომ, 18 მაისამდე იგი იყოფდა №74 საკანს 20 პატიმართან ერთად; 2005 წლის 18 მაისის დამეს იგი იმყოფებოდა №70 საკანზი 10 სხვა პატიმართან ერთად; და 2005 წლის 19 მაისს განმცხადებელი უკან იქნა გადაყვანილი №74 საკანზი, რომელშიც შესახლებული იყო 20 პატიმრამდე. №73 და №74 საკნებში მას ყოველთვის არ ჰქონდა ცალკე ნარი.

#### **2. სანიტარიული მდგომარეობა და აღჭურვილობა, ტემპერატურა და წყლის მიწოდება**

38. მთავრობა ეყრდნობოდა საპატიმრო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ გაცემულ 2005 წლის 11 აგვისტოს

ცნობას, რომლის თანახმადაც ყველა საკანი აღჭურვილი იყო უნიტაზებით. მართალია, უნიტაზი არ იხურებოდა, მაგრამ იგი გამოყოფილი იყო საცხოვრებელი ფართისაგან 1 მეტრი სიმაღლის კვდლით და 1,2 მ სიმაღლის დამატებითი ფარდით. კვირაში ერთხელ პატიმრებს აძლევდნენ საწმენდ საშუალებებს (სოდა და ქლორი). სასადილო მაგიდა განთავსებული იყო უნიტაზისაგან 3 მეტრის მოშორებით. პატიმრებს უფლება ჰქონდათ, მიეღოთ შეაპი კვირაში ერთხელ. საკნები ბუნებრივად ნიავდებოდა ფანჯრებისა და კარებში არსებული ხვრელის საშუალებით. ვენტილატორები შეჰქონდათ მოთხოვნის საფუძველზე. მართალია, ცხელი წყალი არ მოდიოდა, მაგრამ პატიმრებს უფლება ჰქონდათ, გამოეყენებინათ წყლის ელექტრონული გამაცხელებლები. გარდა ამისა, რიგდებოდა ცხელი წყალი გასარეცხად და ადუდებული – სასმელად. კვირაში ერთხელ პატიმრებს აძლევდნენ სუფთა ზეწრებს, პირსახოცებსა და სამზარეულო ჭურჭელს. საკნები აღჭურვილი იყო ფლუროსცეტული ნათურებით, რომლებიც ანათებდა დღე-ღამის განმავლობაში.

39. განმცხადებელი არ ეთანხმებოდა მთავრობის მიერ წარმოდგენილ აღწერილობას და ამტკიცებდა, რომ სანიტარიული მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელი იყო. საკნები გადაჭედილი იყო მწერებით, ვირთხებითა და თაგვებით. პატიმრებს თავიანთი სარეცხის რეცხვა საკნის შიგნით უხდებოდათ, რითაც გადაჭარბებული ტენიანობა იქმნებოდა. საკნებში არ იყო ხელოვნური ვენტილაცია, ვენტილატორი შეიტანეს მხოლოდ 2005 წლის ივნისში. ფანჯრები დაფარული იყო სქელი რკინის გისოსებით, რომლებიც ხელს უშლიდა ბუნებრივი სინათლის შემოსვლას. ხელოვნური განათება არასოდეს ითიშებოდა და ხელს უშლიდა განმცხადებელს დაძინებაში.

40. განმცხადებელი სადაცოდ ხდიდა მთავრობის მიერ საპირფარეშოს აღწერას. უნიტაზი ძალიან იშვიათად იწმინდებოდა, იგი ძალიან ჭუჭყიანი იყო და სუნი ასდიოდა. უფრო მეტიც, უნიტაზი არ იხურებოდა: პატიმრებს უხდებოდათ პლასტმასის ბოთლის ხვრელში ჩადება, რათა შეეჩერებინათ სუნის გავრცელება. ფარდები არ იყო ჩამოკიდებული და პატიმრებს უხდებოდათ ზეწრების ჩამოფარება, რაც ვერ უზრუნველყოფდა საკმარის განმარტოებას. არ რიგდებოდა ტუალეტის საგნები, გარდა 100 გ სოდისა და ქლორისა და 33 გ სარეცხი საპნისა კვირაში ერთხელ.

41. განმცხადებელს უფლება ჰქონდა, მიეღო შხაპი კვირაში ერთხელ. მთლიან საკანს გამოყოფილი ჰქონდა 15 წუთი შხაპის მისაღებად, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 4 საშხაპე იყო. საპონს არიგებდნენ შხაპის მიღების შემდგომ. ზამთრის განმავლობაში საშხაპე ოთახში განსაკუთრებულად ციოდა. სასამართლო დღეებში ან ოჯახის წევრების ვიზიტებისას განმცხადებელი ხელიდან უშვებდა ხოლმე შხაპის მიღების შესაძლებლობას.

### 3. გარეთ სეირნობა

42. მთავრობის მტკიცებით, განმცხადებელს ჰქონდა ყოველდღიური ერთსაათიანი გასეირნების შესაძლებლობა.

43. განმცხადებელი აღიარებდა, რომ ერთსაათიანი გასეირნება ყოველდღიურად ხორციელდებოდა. თუმცა იმ დღეებში, როდესაც ხდებოდა შხაპის მიღება, პატიმრებს არ ჰქონდათ გასეირნების უფლება. ყველა პატიმარი რჩებოდა ხოლმე საკანში ერთ-ერთი პატიმრის მიერ დისციპლინური დანაშაულის ჩადენისათვის კოლექტიური სასჯელის სახით. სასეირნო ეზოები შემოფარგლული იყო 2,5 მეტრი სიმაღლის აგურის კედლებით, რომლებიც გისხებით იყო დაფარული. ეზოები დაფარული იყო რკინის სახურავით და მასში დატოვებული იყო 1-მეტრიანი ხვრელი სახურავსა და კედლებს შორის. ზაფხულში განსაკუთრებულად ცხელოდა და დახუთული იყო, რადგანაც მზე აცხუნებდა სახურავს. ეზოების უმრავლესობის ფართი იყო 9 კვ-მ და დღეში ერთხელ პატიმრები გაჰყავდათ ეზოში.

### II. შესაბამისი ეროვნული სამართალი

44. 2001 წლის 1 ივნისის შემდგომ სისხლისსამართლებრივი საკითხები წყდებოდა რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად (კანონი №174- ქ, 2001 წლის 18 დეკემბრის კანონი, „სსკ“).

45. „აღკვეთის დონისძიებები“ ან „შეზღუდვის დონისძიებები“ მოიცავს იმის ვალდებულებას, რომ პირმა არ დატოვოს ქალაქი ან რეგიონი, პირადი თავდებობა, გირაო და პატიმრობა (98-ე მუხლი). აუცილებლობის შემთხვევაში, ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს შეიძლება მოსთხოვონ გარანტია, რომ გამოცხადდება სასამართლო განხილვაზე (112-ე მუხლი).

46. როდესაც ხდება აღკვეთის დონისძიების გამოყენების გადაწყვეტილების მიღება, ხელისუფლების კომპეტენტურმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს, სახეზეა თუ არა „საკმარისი საფუძველი“ იმის დასაჯერებლად, რომ ბრალდებული დაქმალება გამოძიებას ან სასამართლოს, ხელახლა ჩაიდენს დანაშაულს ან ხელს შეუშლის საქმის ჭეშმარიტების დადგენას (97-ე მუხლი). მხედველობაში უნდა იქნეს ასევე მიღებული ბრალდების სიმძიმე, ბრალდებულის პიროვნება, მისი პროფესია, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური მდგომარეობა და სხვა გარემოებები (99-ე მუხლი).

47. პატიმრობის ბრძანება შეიძლება გასცეს სასამართლომ, თუკი ბრალდება ითვალისწინებს, სულ მცირე, 2-წლიან სანქციას და, ამასთანავე, უფრო მსუბუქი ხასიათის აღკვეთის დონისძიება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს (108-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

48. დაკავების შემდგომ ეჭვმიტანილს ათავსებენ პატიმრობაში „გამოძიების განმავლობაში“. „გამოძიების განმავლობაში“ პატიმრობის მაქსიმალური პერიოდი შეადგენს 2 თვეს, მაგრამ იგი შესაძლოა გაგრძელდეს 18 თვემდე, „გამონაკლის გარემოებებში“ (109-ე მუხლის 1-ლი-მე-3 პუნქტები). „გამოძიების განმავლობაში“ პატიმრობის პერიოდი გამოითვლება იმ დღემდე, როდესაც პროკურორი საქმეს წარმართავს სასამართლოში (109-ე მუხლის მე-9 პუნქტი).

49. იმ დღიდან, როდესაც პროკურორი საქმეს წარმართავს სასამართლოში, პირის პატიმრობას ეწოდება „სასამართლოს წინაშე“ („სასამართლო სამართლწარმოების განმავლობაში“). „სასამართლოს წინაშე“ პატიმრობის პერიოდი გამოითვლება განახენის გამოტანამდე. ხსენებულმა ვადამ ზოგადად არ შეიძლება გადააჭარბოს 6 თვეს, მაგრამ, თუკი საქმე ეხება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს, საქმის განმხილველმა სასამართლომ შესაძლოა დააკანონოს ერთჯერადად ან რამდენიმეჯერ ვადის 3-თვიანი გახანგრძლივება თითოეულ ჯერზე (255-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები).

50. სააპელაციო საჩივარი იმ სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც ახანგრძლივებს პატიმრობას, შესაძლოა, შეტანილ იქნეს ზემდგომი სასამართლოს წინაშე 3 დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს

საჩივრის მიღებიდან 3 დღის გადაში (108-ე მუხლის მე-10 პუნქტი).

### III. შესაბამისი საერთაშორისო აქტები

51. პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები, რომლებიც მიიღო 1955 წელს გამართულმა დანაშაულის ადგენერატორისა და დამნაშავეთა მოპყრობის გაერთიანებული ერების პირველმა კონგრესმა და დაამტკიცა ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ 663-ე რეზოლუციით C (XXIV) 1957 წელის 31 ივლისსა და 2076 (LXII) 1977 წლის 13 მაისს, ითვალისწინებს შემდეგს:

„10. პატიმრებისათვის გამოყოფილი და, განსაკუთრებით, მათი ძილისათვის გამოყოფილი საშუალებები უნდა აკმაყოფილებდეს ჯანმრთელობის მოთხოვნებს, შესაბამისი ყურადღება უნდა დაეთმოს ... მინიმალურ ფართს, განათებას, გათბობას და ვენტილაციას...“

11. ყოველ საცხოვრებელ თუ სამუშაო ადგილას, სადაც პატიმრები უნდა იყვნენ:“

ა) ფანჯრები უნდა იყოს საკმარისად ფართო, რათა პატიმრებს საშუალება ჰქონდეთ, იკითხონ ან იმუშაონ ბუნებრივ სინათლეზე და, ამავე დროს, ფანჯრები იმგვარად უნდა იყოს დამონტაჟებული, რომ სუფთა ჰაერი შემოდიოდეს, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ხელოვნური ვენტილაცია;

ბ) ხელოვნური სინათლე უზრუნველყოფილ უნდა იქნეს პატიმრებისათვის საკმარისად, რათა შეძლონ კითხვა ან მუშაობა, მხედველობის დაზიანების გარეშე.

12. სანიტარიული საშუალებები უნდა იყო ადეკვატური იმისათვის, რომ თითოეულ პატიმარს შეეძლოს, აუცილებლობის შემთხვევაში, ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სუფთა და ჩარეცხის საშუალების მქონე მეთოდით.

13. ადეკვატური საბანაო და შხაპის მისაღები საშუალებები იმგვარად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, რომ ყოველ პატიმარს შეეძლოს დაბანა და შხაპის მიღება..., სულ მცირე, კვირაში ერთხელ, შესაბამისი ტემპერატურის მქონე ოთახში.

14. საკვების მოსამზადებელი ყველა საშუალება, რომელსაც რეგულარულად იყენებენ პატიმრები, შესაბამისად, მუდმივად უნდა იქნეს დაცული და შენახული სკრუპულოზურ სისუფთავეში.
15. პატიმრებს უნდა მოეთხოვოთ, სუფთად შეინარჩუნონ საკუთარი სხეული და სხენებული მიზნის მისაღწევად მათ უნდა მიეცეთ წყალი და ტუალეტის საშუალებები, რაც აუცილებელია ჯანმრთელობისა და სისუფთავის უზრუნველსაყოფად.
19. ყოველი პატიმარი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ცალკე საწოლით და საკუთარი და საკმარისი ლოგინით, რომელიც გაცემის დროს უნდა იყოს სუფთა, შესაბამისად უნდა იქნეს მოხმარებული და გამოიცვალოს საკმარისად ხშირად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სისუფთავე.
21. (1) ყოველ პატიმარს ... უნდა ჰქონდეს, სულ მცირე, 1 საათი ყოველდღიურად სუფთა პაერზე სეირნობისათვის, თუკი ამინდი ამის საშუალებას იძლევა.
52. წამების, არაადამიანური და ლირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის მე-2 ზოგადი მოხსენებიდან ამოღებული შესაბამისი ამონარიდების თანახმად:
46. საკნების გადატვირთვას პირდაპირი შეხება აქვს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მანდატთან. ციხეში არსებულ ყველა მომსახურებასა და განხორციელებულ ქმედებაზე ნებატიური ზეგავლენა იქნება განხორციელებული, თუკი მოითხოვება მომსახურების განხორციელება უფრო მეტ პატიმართან მიმართებით, ვიდრე ეს იყო გათვალისწინებული თავდაპირველად პატიმრების ოდენობასთან მიმართებით, ... უფრო მეტიც, გადატვირთვის დონე ციხეში, ან მის კონკრეტულ ნაწილში, შესაძლოა იყოს არაადამიანური ან ლირსების შემლახველი, ფიზიკური თვალსაზრისით.
48. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს პაერზე სეირნობა. ის მოთხოვნა, რომ პატიმრებს უფლება ჰქონდეთ, სულ მცირე, 1 საათით გაისეირნონ სუფთა პაერზე ყოველდღიურად, ფართოდ არის აღიარებული როგორც უმნიშვნელოვანესი გარანტია... ასევე უდავოა, რომ პაერზე სეირნობის ადგილი და საშუალებები უნდა იყოს გონივრული მოცულობის.
49. თავისუფალი ხელმისაწვდომობა ტუალეტზე და პიგიენის შესაბამისი სტანდარების დაცვა და შენარჩუნება არის აღმაგატური პუმანური გარემოს უმნიშვნელოვანესი კომპონენტები.

50. წამების საწინააღმდეგო კომიტეტი დაამატებდა, რომ იგი განსაკუთრებულად შეშფოთებულია, როდესაც ერთად აწყდება გადატვირთვას, რეჟიმის არადამაკმაყოფილებელ ქმედებებს და ტუალეტსა და დასაბან საშუალებებზე არააღეპვატურ ხელმისაწვდომობას ერთსა და იმავე დაწესებულებაში. ასეთ გარემოებათა ერთობლიობა შესაძლოა, განსაკუთრებულად ზიანის მომტანი იყოს პატიმრებისათვის“.

53. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მე-10 ზოგადი მოხსენებიდან ამოღებული შესაბამისი ამონარიდები, რომლებიც აწესრიგებენ პატიმარ ქალთა პატიმრობის პირობებს [CPT/Inf (2000) 13], შემდეგნაირად იკითხება:

„21. ... ევროპის საბჭოს ყველა ხელშემქვრელ სახელმწიფოში ქალი პატიმრები წარმოადგენენ იმ პირთა შედარებით პატარა უმცირესობას, რომლებიც აღავეთილი აქვთ თავისუფლება. შესაძლოა, სახელმწიფოს ძალიან ძვირი დაუჯდეს იმის უზრუნველყოფა, რომ პატიმარი ქალები ყოველთვის მცირე რაოდენობით იყვნენ ისეთ საპატიმრო ადგილებში (ზოგჯერ ისინი, ვინც შორს არიან თავიანთი სახლებიდან, ან ისინი, ვისაც დამოკიდებული შვილები ჰყავთ), რომლებიც, ზოგადად, განკუთვნილი იყო (და შესაძლოა, იქ იმყოფებოდნენ) მამაკაცი პატიმრებისათვის. სენებულ გარემოებებში განსაკუთრებული ზრუნვაა იმის უზრუნველყოფად საჭირო, რომ თავისუფლებადადგეთილი ქალები იმყოფებოდნენ დაცულ და შესაბამის საპატიმრო პირობებში...“

30. კომიტეტს ასევე სურს, ყურადღება გამახვილდეს ჰიგიენასთან და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რამდენიმე საკითხზე, რომლებთან მიმართებითაც თავისუფლებაშეზღუდულ ქალ პატიმართა საჭიროება მნიშვნელოვნად განსხვავდება კაცების საჭიროებისაგან.

31. ქალთა ჰიგიენის სპეციფიკური საჭიროებები უნდა დაგმაყოფილდეს ადეკვატურად. სანიტარიულ და დასაბან საშუალებებზე თავისუფალი ხელმისაწვდომობა, სისხლის დასვრილი საგნების უსაფრთხო განთავსება, ისევე როგორც ჰიგიენის საგნებით უზრუნველყოფა, როგორებიცაა სუფთა პირსახოცები და ტამპონები, განსაკუთრებით მნიშვნელოვნია. ასეთი ელემენტები საგნების მიუწოდებლობა შესაძლოა ჩაითვალოს დირსების შემდახველ მოპერობად.

## სამართალი

### I. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

54. განცხადებელი ჩიოდა, რომ საპატიმრო დაწესებულება № IZ-33/1-ში არსებული პატიმრობის პირობები არღვევდა კონვენციის მე-3 მუხლს, რომლის თანახმადაც:

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან დირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს.“

#### ა. დაშვებადობა

55. მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელს არ ამოუწურავს სამართლებრივი დაცვის არსებული საშუალებები, კერძოდ, მას არ გაუსაჩივრებია პატიმრობის პირობები ვლადიმირის საოლქო სასამართლოში ან გენერალური პროკურატურის იმ დეპარტამენტში, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას სისხლისსამართლებრივი სასჯელის მოხდის კანონიერებაზე (*Управление по надзору за законностью исполнения уголовных наказаний Генеральной Прокуратуры РФ*), ან სასამართლოში.

56. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მან წარადგინა საჩივარი პატიმრობის არადამაკმაყოფილებელი პირობების შესახებ ყველა სასამართლო მოსმენაზე. განმცხადებელი მუდმივად უთითებდა არაადამიანურ პირობებთან დაკავშირებით ყველა სააპელაციო საჩივარში. თუმცა სასამართლოები ან იგნორირებას უკეთებდნენ ხოლმე განმცხადებლის საჩივრებს ან პასუხობდნენ, რომ „პატიმრობის პირობები ყველასათვის ერთნაირი იყო“. განმცხადებელს არ მიუმართავს საჩივრით პროკურატურისათვის, რადგანაც ასეთი საჩივრით მიმართვა სამართლებრივი დაცვის არაეფექტური საშუალება იქნებოდა. პროკურორები ესწრებოდნენ სასამართლო მოსმენებს, მათ ესმოდათ წარდგენილი საჩივრების შესახებ და ჰქონდათ საშუალება, წაეკითხათ ისინი, თუმცა პასიურები იყვნენ და არ განუხორციელებიათ რაიმე სახის ღონისძიება სიტუაციის მოსაგვარებლად.

57. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი მუდმივად ჩიოდა მისი პატიმრობის დირსების შემლახველ პირობებთან დაკავშირებით საქმის განმხილველ სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს წინაშე. ხსენებული პრეტენზიების შესახებ ასევე ეცნობა პროკურორს. ამიტომაც სასამართლო თვლის, რომ ხელისუფლების ორგანოებს ჰქონდათ საკმარისი ინფორმაცია განმცხადებლის მდგომარეობასთან დაკავშირებით. სიმართლეა ის ფაქტი, რომ განმცხადებელს არ წარუდგენია ცალკე პრეტენზია სასამართლოების, პროკურატურისა და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოების შესახებ, როგორც ამას მთავრობა ამტკიცებდა. თუმცა მთავრობას არ წარმოუდგენია, თუ რა სახის სამართლებრივი დაცვა

შეიძლებოდა აღმოჩენოდა განმცხადებელს ხსენებული ორგანოებისაგან, თუკი გავითვალისწინებო იმ ფაქტს, რომ პატიმრობის პირობებიდან წარმოშობილი პრობლემები აშკარად სტრუქტურული ხასიათის იყო და არ ეხებოდა მხოლოდ პიროვნულ სიტუაციას (იხ.: *Moiseyev v. Russia* (გადაწყვეტილება), № 62936/00, 2004 წლის 9 დეკემბერი; *Kalashnikov v. Russia* (გადაწყვეტილება), № 47095/99, 2001 წლის 18 სექტემბერი). ამიტომაც სასამართლო ადგენს, რომ წინამდებარე საჩივარი არ შეიძლება უარყოფილ იქნეს სამართლებრივი დაცვის ეროვნული საშუალებების ამოუწურვობის გამო.

58. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს პრეტენზია არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 კუნქტის შესაბამისად. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ განაცხადი არ შეიძლება დაუშვებლად იქნეს მიჩნეული სხვა რაიმე საფუძველზე. შესაბამისად, განაცხადი დაშვებულად უნდა გამოცხადდეს არსებით განხილვაზე.

## ბ. არსებითი განხილვა

### 1. მხარეთა არგუმენტაცია

59. სასამართლო აღიარებდა, რომ საკნები გადატვირთული იყო, რადგანაც საპატიმრო დაწესებულებაში მიმდინარეობდა რემონტი. გადატვირთვას შეეძლო გამოეწვია გარკვეული დისკომფორტი განმცხადებლისათვის, თუმცა ხელისუფლების ორგანოებს არ გააჩნდათ არანაირი მიზანი განმცხადებლის დამცირებასთან დაკავშირებით. სხვა მხრივ, პატიმრობის პირობები დამაკმაყოფილებელი იყო. განმცხადებელს პქონდა საქუთარი ნარი და ლოგინი მუდმივად. ამგვარად, განმცხადებლის პატიმრობის პირობები შესაბამისი იყო მე-3 მუხლის მოთხოვნებთან.

60. განმცხადებელი სადაცოდ ხდიდა მთავრობის მიერ პატიმრობის პირობების აღწერას №IZ-33/1 საპატიმრო დაწესებულებაში და ამტკიცებდა, რომ ხსენებული, ფაქტობრივად, სიცრუე იყო. იგი სასამართლოს ყურადღებას ამასვილებდა იმ ფაქტზე, რომ მთავრობა უთითებდა არა პატიმართა ზუსტ, არამედ საშუალო რაოდენობაზე. ფაქტობრივად, თითოეულ საკანზი პატიმართა რაოდენობა უფრო მეტი იყო, ვიდრე მთავრობის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაში და, ამასთანავე, განმცხადებელს არ გააჩნდა

საქუთარი საწოლი; საპატიმრო დაწესებულებაში სარემონტო სამუშაოები ძალზე უსუსური არგუმენტი იყო იმისათვის, რომ განმცხადებელი შეესახლებინათ გადატვირთულ საკანში; გარდა ამისა, საკნები ბნელი, ცივი, დახუთული და პარაზიტებით გავსებული იყო; ტუალეტი – ჭუჭყიანი და სუნიანი, სადაც შეუძლებელი იყო განმარტოება; ლოგინი – ჭუჭყიანი და ნაფლეთებად ქცეული; არ მოდიოდა ცხელი წყალი და არ ხდებოდა სასმელი წყლით უზრუნველყოფა, საჭმელი ძალიან უხარისხო იყო; არ არსებობდა არანაირი საშუალება ჰაერზე სეირნობისათვის, რადგანაც სასეირნო ეზოები გადატვირთული იყო და ასევე დაფარული რკინის სახურავით, რაც ძალზე აფერხებდა სუფთა ჰაერის შემოსვლას.

## 2. სასამართლოს შეფასება

61. მხარეები სადაცოდ ხდიდნენ ვლადიმირის რეგიონში საპატიმრო დაწესებულება № IZ-33/1-ში განმცხადებლის პატიმრობის რეალურ პირობებს. თუმცა სასამართლოს არ ესაჭიროება თითოეული მტკიცების ჭეშმარიტების დადგენა, რადგანაც სასამართლო შემდეგ მიზეზთა გამო ადგენს მე-3 მუხლის დარღვევას იმ ფაქტების საფუძველზე, რომლებიც წარმოდგენილ იქნა ან არ ყოფილა სადაცოდ გახდილი მოპასუხე მთავრობის მიერ.

62. ძირითადად მხარეები შეთანხმდნენ, რომ საპატიმრო დაწესებულება № IZ-33/1 გადატვირთული იყო. №№ 69, 73, 74 საქნებში თითოეულ პატიმარზე მოდიოდა 2 კვ. მ-ზე ნაკლები ფართი. 1 წელზე მეტ ხანს განმცხადებელი მოთავსებული იყო საკანში დღე-დამის განმავლობაში, გარდა იმ 1-სათიანი გასეირნებისა, რომლის საშუალებაც მას ჰქონდა.

63. სასამართლოს ანალიზისათვის მნიშვნელობა არ აქვს, საქნების გადატვირთვა გამოწვეული იყო მიმდინარე რემონტით თუ სხვა მიზეზებით, მთავრობას ეკისრებოდა ვალდებულება, საქუთარი პენიტენციარული სისტემა იმგვარად მოეწყო, რომ უზრუნველყოფილიყო პატიმრების პატივისცემა, მიუხედავად ფინანსური თუ მატერიალურ-ტექნიკური სიძნეებისა.

64. სასამართლოს ხშირად დაუდგენია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა პატიმრისათვის არასაკმარისი ფართის გამოყოფის გამო (იხ.: *Khudoyorov v. Russia*, № 6847/02, § 104 et seq., ECHR 2005-... (extracts); *Labzov v. Russia*, № 62208/00, § 44 et seq., *Novoselov v. Russia*,

Nº 66460/01, § 41 et seq., 2 June 2005; *Mayzit v. Russia*, Nº 63378/00, § 39 et seq.; *Kalashnikov v. Russia*, Nº 47095/99, §§ 97 et seq., ECHR 2002-VI; *Peers v. Greece*, Nº 28524/95, §§ 69 et seq., ECHR 2001-III ).

65. ხსენებულ საკითხთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართლისა და მხარეების მიერ წარმოდგენილი მასალების გათვალისწინებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობას არ წარმოუდგენია არცერთი ფაქტი ან არგუმენტი, რომელიც დაარწმუნებდა სასამართლოს, რომ წინამდებარე საქმეში მიეღო განსხვავებული დასკვნა. ის ფაქტი, რომ განმცხადებელი ვალდებული იყო, ეცხოვრა, დაემინა და გამოეყენებინა ტუალეტი იმავე საკანზი მყოფ სხვა ბევრ პატიმართან ერთად, საქმარისი იყო, რათა გამოეწვია დათორგუნვა და სიძნელეები, რომლებიც აჭარბებდა ტანჯვის იმ ზღვარს, რომელიც თან სდევს და დამახასიათებელია პატიმრობისათვის. ხსენებულმა განმცხადებელმა წირმოშვა შიშის, დაუცველობისა და უსუსურობის გრძნობა, რომელსაც შეეძლო განმცხადებლის დამცირება.

66. რაც შეეხება მთავრობის არგუმენტს, რომ ხელისუფლების ორგანოებს არ ჰქონდათ მიზნად განმცხადებლისათვის ტანჯვის მიეკუთვნება, სასამართლო იმეორებს, რომ, მართალია, ის საკითხი, იყო თუ არა დამცირება მსხვერპლის მოპყრობის მიზანი, მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. ასეთი მიზნის არარსებობას არ შეუძლია გამორიცხოს მე-3 მუხლის დარღვევის დადგენის შესაძლებლობა (იხ.: ზემოხსენებული *Kalashnikov*-ის საქმე, § 101; *Peers*-ის ზემოხსენებული საქმე, § 74).

67. შესაბამისად, დაირდვა კონვენციის მე-3 მუხლი, №IZ-33/1 საპატიმრო დაწესებულებაში განმცხადებლის არსებული პირობების გამო.

## II. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის სავარაუდო დარღვევა

68. განმცხადებელი ჩიოდა მისი იმ უფლების დარღვევასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება პატიმრობაში მყოფი პირის საქმის გონივრულ ვადაში განხილვას, და ამტკიცებდა, რომ პატიმრობის ბრძანებები არ იყო საკმარისად დასაბუთებული. განმცხადებელი ეყრდნობოდა კონვენციის მე-5 მუხლი მე-3 პუნქტს, რომლის თანახმადაც:

„ამ მუხლის 1-ლი (c) პუნქტის დებულებების თანახმად, დაკავებულ ან დაპატიმრებულ ყველა პირს ... უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე

განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. გათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით.“

### **ა. დაშვებადობა**

69. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს პრეტენზია არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ეს პრეტენზია არ არის დაუშვებელი რაიმე სხვა საფუძველითაც, ამიტომაც იგი უნდა გამოცხადდეს არსებით განხილვაზე მიღებულად.

### **ბ. არსებითი განხილვა**

#### *1. მხარეთა არგუმენტაცია*

70. მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებლის პატიმრობა ემყარებოდა საკმარის საფუძვლებს. განმცხადებელი პატიმრობაში იმყოფებოდა, რადგანაც მას ბრალად ედებოდა თაღლითობის ჩადენა დამამდიმებელ გარემოებებში, რაც სერიოზულ დანაშაულად ითვლება. სახეზე იყო სარწმუნო მიზეზები, რომ განმცხადებელი მიიმაღებოდა, რადგანაც მისი თანამზრახველი და მისი 2 შვილის მამა მიიმაღნენ. განმცხადებელს შეეძლო მტკიცებულებათა განადგურება და ჭეშმარიტების დადგენაში ხელის შეშლა. განმცხადებლის მხრივ ეს მისწრაფება დასტურდებოდა სატელეფონო საუბრებით დაუდგენელ პირთან – განმცხადებელმა გააფრთხილა დაუდგენელი პირი პოლიციის შესაძლო რეიდის შესახებ და დაუინებით სთხოვა მას, გაენადგურებინა დოკუმენტები და წაეშალა კომპიუტერში ფაილები. სსენებული დოკუმენტები განიხილა სასამართლომ. განმცხადებლის პატიმრობა გაგრძელდა, რადგანაც მისი საქმე რთული იყო და არსებობდა შემდგომი გამოძიების წარმართვის საჭიროება. უფრო მეტიც, გამოძიება შეაფერხა განმცხადებელმა, რომელმაც უარი განაცხადა ჩვენების, საკუთარი ხელწერისა და ხელმოწერის ნიმუშების მიცემაზე და არ დასთანხმდა ჩაწერილიყო მისი ხმა შედარების მიზნით. ასევე არსებობდა დანაშაულის რეციდივის საფრთხე, მოწმეებზე ზეწოლის განხორციელების შესაძლებლობა, მათი დაშინება, მტკიცებულებათა გაყალბება ან გამოძიებისათვის სხვა გზით ხელის შეშლის საშიშროება.

71. განმცხადებელს სადაცოდ არ გაუხდია, რომ პირველ ეტაპზე მისი პატიმრობა გამართლებული იყო. მისი პრეტენზიები ძირითადად მიმართული იყო პატიმრობის გადაჭარბებულ ხანგრძლივობაზე. არ არსებობდა „შესაბამისი და საკმარისი“ მიზეზები, რათა განმცხადებელი პატიმრობაში დარჩენილიყო ასეთი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. საქმე არ იყო როტული. განმცხადებელი იყენებდა უფლებას, არ მიუცა ჩვენება საქუთარი თავის წინააღმდეგ და მისი უარი ჩვენებისა თუ ხელწერის მიცემაზე, ხელმოწერისა თუ ხმის ნიმუშის მიწოდებაზე არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო საკმარის საფუძვლად პატიმრობისათვის. განმცხადებელს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ ფაქტისათვის, რომ თანაბრალდებული დაემალა გამოძიებას. მთავრობის მტკიცება, რომ განმცხადებელს შეეძლო მიმალულიყო, პიპოტეზურია და არ იყო გამყარებული მტკიცებულებებით. საპირისპიროდ კი განმცხადებელი რომ მიმალულიყო, მას უნდა გაეწყვიტა კავშირი თავის შვილებთან და დაეკარგა სამსახური. რადგანაც განმცხადებელი დაკავეს მისი ბინის ჩხრეკიდან მეორე დღეს, მას ბევრი დრო ჰქონდა, სურვილის შემთხვევაში, მიმალულიყო. იგი ვერ შეძლებდა, გაენადგურებინა მტკიცებულებები, რადგანაც მისი სახლი და სამსახურის კაბინეტი გაიჩხრიკა და ყველა დოკუმენტი ამოღებულ და საქმის მასალებში იქნა ჩართული. რაც შეეხება სატელეფონო საუბრებს, ისინი არ ყოფილა შემოწმებული ეროვნული სასამართლოების მიერ, ხსენებულ საუბრებზე არ გაუკეთებიათ მინიშნება სასამართლოებს პატიმრობის შესახებ ბრძანებების გაცემისას. ასევე არ არსებობდა მტკიცებულება, რომ განმცხადებელი ხელახლა ჩაიდგნდა დანაშაულს.

## 1. სასამართლოს შეფასება

72. განმცხადებელი პატიმრობაში აიყვანეს 2004 წლის 23 ივნისს. 2005 წლის 4 აგვისტოს განმცხადებელი გაათავისუფლეს. ამგვარად, პერიოდი, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, გრძელდებოდა წელიწადზე ცოტა მეტ ხანს.

73. მხარეებს სადაცოდ არ გაუხდიათ, რომ განმცხადებლის პატიმრობა პირველ ეტაპზე განპირობებული იყო გონივრული ეჭვით მისი ფართომასშტაბიან თაღლითობაში მონაწილეობის შესახებ. სასამართლო იმეორებს, რომ გონივრული ეჭვის არსებობა, რომლის თანახმადაც დაკავებულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული, არის *sine qua non* პირობა განგრძობადი

პატიმრობისათვის. თუმცა გარკვეული დროის გასვლის შემდგომ ეს აღარ არის საკმარისი. ასეთ შემთხვევებში სასამართლომ უნდა დაადგინოს, ეროვნული სასამართლო ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი სხვა საფუძვლები ამართლებენ თუ არა თავისუფლების შეზღუდვას. როდესაც ასეთი საფუძვლები „შესაბამისი“ და „საკმარისია“, სასამართლომ ასევე უნდა გამოარკვიოს, ეროვნული ხელისუფლების ორგანოებმა გამოავლინეს თუ არა „კეთილსინდისიერება“ სამართალწარმოების წარმართვისას (see *Labita v. Italy* [GC], # 26772/95, §§ 152 and 153, ECHR 2000-IV).

74. განმცხადებლის განცრძობადი პატიმრობის კანონიერებისა და გამართლების განხილვისას რაიონული და საოლქო სასამართლოები დაუინებით ეყრდნობოდნენ წაყენებული ბრალდების სიმძიმეს, როგორც განმცხადებლის მიმალვის უმთავრეს ფაქტორს – მართლმსაჯულებაში ჩარევისა და დანაშაულის ხელახლა ჩადენის საფრთხეს. თუმცა ევროპულმა სასამართლომ მრავალჯერ დაადგინა, რომ, მართალია, სანქციის სიმძიმე შესაბამისი ელემენტია იმის შეფასებისას, არსებობს თუ არა მიმალვის ან დანაშაულის ხელახლა ჩადენის საფრთხე, მაგრამ თავისუფლების შეზღუდვის გაგრძელების საჭიროება არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ წმინდა აბსტრაქტული თვალსაზრისით და მხოლოდ დანაშაულის სიმძიმის მხედველობაში მიღებით. წინასწარი პატიმრობის გაგრძელება არ შეიძლება ასევე იმ მოტივით, რომ მოსალოდნელია საპატიმრო სასჯელის დაკისრება სასამართლო სამართალწარმოების შედეგად (იხ.: *Letellier v. France*, 1991 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება, სერია A № 207, § 51; ასევე იხ. *Panchenko v. Russia*, № 45100/98, § 102, 2005 წლის 8 ოქტემბერი; *Goral v. Poland*, № 38654/97, § 68, 2003 წლის 30 ოქტომბერი; *Ilijkov v. Bulgaria*, № 33977/96, § 81, 2001 წლის 26 ივლისი). ადნიშნული პრინციპი განსაკუთრებით უნდა გამოიყენებოდეს ისეთ შემთხვევაში, როგორც ეს წინამდებარე საქმეშია მოცემული, როდესაც ფაქტების სამართლებრივი შეფასება - და, ამგვარად, მოსალოდნელი სასჯელი განმცხადებელთან მიმართებით - განხორციელდა პროცესუატურის მიერ ეროვნული სასამართლოს მხრიდან კონტროლის განხორციელების გარეშე და სასამართლოს არ შეუფასებია, მტკიცებულებები ამყარებდნენ თუ არა გონივრულ ეჭვს, რომ განმცხადებელმა ჩაიდინა შერაცხული დანაშაული (იხ. *Rokhлина v. Russia*, № 54071/00, § 66, 2005 წლის 7 აპრილი).

75. გამოსარკვევი რჩება, ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს თუ არა და დამაჯერებლად წარმოაჩინეს თუ არ კონკრეტული ფაქტების არსებობა, რომლებიც გაამყარებდა მათ მიერვე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომ განმცხადებელს შეეძლო მიმალვა, მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლა ან დანაშაულის ჩადენა. ხსენებულთან მიმართებით სასამართლო იმურებს, რომ ხელისუფლების ორგანოებს ეკისრებათ ვალდებულება, დაადგინონ კონკრეტული ფაქტების არსებობა, რომლებიც იძლევიან საკმარის საფუძველს განგრძობადი პატიმრობისათვის. ხსენებულ სიტუაციებში მტკიცების ტვირთის პატიმრობაში მყოფ პირზე გადატანა უდრის კონვენციის მე-5 მუხლით დადგენილი ნორმების თავდაყირა დაყენებას. მე-5 მუხლის დებულებები კი პატიმრობას გამონაკლისად აცხადებს და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში იძლევა ამის უფლებას. აღნიშნული შემთხვევები კი ამომწურავად არის წარმოჩენილი და მკაცრად განსაზღვრული. (იხ.: *Rokhлина*, -ს ზემოხსენებული საქმე, § 67; *Ilykov*-ის ზემოხსენებული საქმე, §§ 84-85).

76. ეროვნულმა სასამართლოებმა შეაფასეს განმცხადებლის პოტენციური მიმალვის საფრთხე იმ ფაქტზე მითითებით, რომ განმცხადებლის თანამზრახველი მიიმაღა. სასამართლოს აზრით, თანაბრალდებულის ყოფაქცევა არ შეიძლება ყოფილიყო გადამწყვეტი ფაქტორი იმის შეფასებისას, არსებობდა თუ არა განმცხადებლის მიმალვის საფრთხე. ასეთი შეფასება უნდა ემყარებოდეს პატიმრის პიროვნულ თვისებებს. წინამდებარე საქმეში ეროვნულმა სასამართლოებმა არ აღნიშნეს განმცხადებლის პიროვნების რაიმე მახასიათებელი ნიშანი ან ქცევა, რაც გაამართლებდა სასამართლოების გადაწყვეტილებას, რომ არსებობდა განმცხადებლის მიმალვის საფრთხე; მეორე მხრივ, განმცხადებელი მუდმივად წარუდგენდა ხოლმე ეროვნულ სასამართლოებს ფაქტებს, რომლებიც ამცირებდა მიმალვის საფრთხეს. თუმცა ეროვნული სასამართლოები არ უთმობდნენ არანაირ უურადღებას განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს, რომელთა თანახმადაც განმცხადებელი არ იყო ნასამართლევი, პქონდა მუდმივი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი ვლადიმირში, სტაბილური ცხოვრების წესი, ორი მცირეწლოვანი შვილი და ასევე ის არგუმენტი, რომ მისი მამა მძიმედ იყო ავად. ეროვნულ სასამართლოებს არ დაუთმიათ არანაირი უურადღება იმ ფაქტისათვის, რომ განმცხადებელს პქონდა მიმალვის შესაძლებლობა მისი ბინის ჩხრეკის შემდგომ, მაგრამ მას ეს შანსი არ გამოუყენებია, არ მიმაღულა და გამომძიებლის

განკარგულებაში დარჩა. ხსენებულ გარემოებებში ევროპული სასამართლო ადგენს, რომ მიმალგის საფრთხე არ ყოფილა დადგენილი წინამდებარე საქმეში.

77. სასამართლო ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ოანახმად, ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან, განიხილონ ალტერნატიული დონისძიებები, რათა ბრალდებული წარმოდგენილ იქნეს სასამართლო სამართალწარმოების ეტაპზე, მაშინ, როდესაც ხდება გადაწყვეტილების მიღება იმასთან დაკავშირებით, ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს, თუ პატიმრობაში იქნეს აყვანილი. სინამდვილეში, მე-5 მუხლის შესაბამისი დებულება უზრუნველყოფს არა მხოლოდ უფლებას „გონივრულ ვადაში სასამართლო სამართალწარმოების ჩატარებასთან ან სამართალწარმოების პერიოდში გათავისუფლებასთან დაკავშირებით“, არამედ ასევე ადგენს, რომ „გათავისუფლება შესაძლოა, უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლოს წინაშე გამოცხადების გარანტიებით“ (იხ.: *Sulaaja v. Estonia*, №55939/00, § 64 *in fine*, 2005 წლის 15 თებერვალი; *Jabłoński v. Poland*, № 33492/96, § 83, 2000 წლის 21 დეკემბერი).

78. წინამდებარე საქმეში განმცხადებლის მთლიანი პატიმრობის განმავლობაში ხელისუფლების ორგანოებს არ განუხილავთ განმცხადებლის სასამართლოში გამოცხადების უზრუნველყოფა უფრო მსუბუქი აღკვეთის დონისძიებებით, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლის ადვოკატებმა მრავალჯერ მოითხოვეს მისი გათავისუფლება გირაოთი ან ქალაქიდან გასუგლელობის გალდებულებით – „აღკვეთის დონისძიებები“, რომლებიც, სისხლის სამართალწარმოების ჯეროვნად წარმართვის მიზნიდან გამომდინარე, ნათლად არის განსაზღვრული რუსეთის კანონმდებლობით (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 45-ე პუნქტი). ეროვნულ სასამართლოებს არც ის აუხსნიათ თავის გადაწყვეტილებებში, თუ რატომ ვერ უზრუნველყოფნენ თავისუფლების შეზღუდვის საპირისპიროდ არსებული სხვა ალტერნატივები სასამართლო სამართალწარმოების ჯეროვნად წარმართვას. აღნიშნულის განუხორციელებლობა კიდევ უფრო აუხსნელია იმ ფაქტით, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ნათლად მოითხოვს ეროვნული სასამართლოებისაგან, განიხილონ ნაკლებად მსუბუქი დონისძიებები როგორც პატიმრობის ალტერნატივა (იხ. წინამდებარე განჩინების 47-ე პუნქტი).

79. ერთადერთი სხვა საფუძველი განმცხადებლის განგრძობადი პატიმრობისათვის იყო ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილება, რომ განმცხადებელს შეეძლო განადგურებინა მტკიცებულებები, ხელი შეეშალა მართლმსაჯულებისათვის ან ხელახლა ჩაედინა დანაშაული. სასამართლო აღიარებს, რომ გამოძიების პირველ ეტაპზე განმცხადებლის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის საფრთხე, შესაძლოა, ამართლებდა მის პატიმრობას. თუმცა მას შემდგომ, რაც შეგროვდა მტკიცებულებები, ხსენებული საფუძველი ადარ გამოდგებოდა განმცხადებლის პატიმრობის გასამართლებლად. უფრო მეტიც, ეროვნულმა ორგანოებმა არ წარმოადგინეს არანაირი მიზეზი, თუ რატომ არსებობდა ასეთი საფრთხე. მთავრობა უთითებდა განმცხადებლის სატელეფონო საუბრებზე და აცხადებდა, რომ განმცხადებელს შეეძლო, დაეშინებინა მოწმეები ან გაეყალებინა მტკიცებულებები. სასამართლო იმეორებს, რომ მისი ამოცანა არ არის ხელისუფლების ეროვნული ორგანოების ადგილის დაკავება, რომლებმაც გამოიტანეს გადაწყვეტილება განმცხადებლის პატიმრობასთან დაკავშირებით, შესაბამისად, ევროპული სასამართლოს ამოცანა არ არის, განახორციელოს ფაქტების საკუთარი ანალიზი პატიმრობის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ (იხ.: *Nikolov v. Bulgaria*, № 38884/97, § 74, 2003 წლის 30 იანვარი; *Labita*-ს ზემოხსენებული საქმე, § 152). წინამდებარე გარემოებები პირველად მითითებულ იქნა ევროპულ სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოებისას და ეროვნული სასამართლოები არცერთ მათგანს არ დაყრდნობიან მიღებულ გადაწყვეტილებებში.

80. სასამართლო ასევე აცხადებს, რომ გადაწყვეტილებები, რომლებიც აგრძელებდნენ განმცხადებლის პატიმრობას, ჯეროვნად არ ეხებოდა მის პირად სიტუაციას. გადაწყვეტილებათა უმეტესობაში ეროვნული სასამართლოები იყენებდნენ ერთსა და იმავე შემაჯამებელ ფორმულირებას და სტერეოტიპულ ტექსტს. 2005 წლის 19 ივნისსა და 2 აგვისტოს მიღებული რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებები არ იძლეოდა განმცხადებლის განგრძობადი პატიმრობის რაიმენაირ სამართლებრივ საფუძველს. ხსენებული გადაწყვეტილებები მხოლოდ აღნიშნავდა, რომ „განმცხადებელი უნდა დარჩეს პატიმრობაში“. კიდევ უფრო გასაკვირია, რომ იმ დროისათვის განმცხადებელს პატიმრობაში გატარებული ჰქონდა წელიწადზე მეტი, გამოძიება დასრულებული იყო და საქმე წარიმართა სასამართლოში.

81. ასევე გასაკვირია 2005 წლის 22 თებერვლის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, საჭირო არ იყო მხარეთა მოსაზრებების მოსმენა პროცურორის მიერ პატიმრობის გაგრძელების თაობაზე წარმოდგენილ მასალებთან მიმართებით. ხელისუფლის დაკავშირებით სასამართლო კვლავაც უთითებს, რომ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ავალდებულებს „მოხელეს“, პირადად მოუსმინოს ბრალდებულს, განიხილოს ფაქტები წინასწარი პატიმრობის სასარგებლოდ თუ საპირისპიროდ და პატიმრობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნოს ის ფაქტები, რომლებსაც ეყრდნობა გადაწყვეტილება (იხ.: *Hood v. the United Kingdom [GC], № 27267/95, § 60, ECHR 1999-I; Schiesser v. Switzerland, 1979 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერია A, №34, § 31*). ხელისუფლიდან გამომდინარე, განმცხადებლის პატიმრობის გაგრძელება პროცურატურის მიერ წარმოდგენილ მასალებთან დაკავშირებით, განმცხადებლის მოსაზრების მოსმენის გარეშე, ისევე, როგორც გათავისუფლების სასარგებლოდ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების არაფრად ჩაგდება, შეუთავსებელია კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ გარანტიებთან.

82. ბოლოს, სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე ხელისუფლების ეროვნულ ორგანოებს არ განუხილავთ, განმცხადებლის პატიმრობის ხანგრძლვიობა აჭარბებდა თუ არა „გონივრულ ვადას“. ასეთ ანალიზს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეკავებინა ეროვნული ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში, განსაკუთრებით მას შემდგომ, რაც განმცხადებელმა მრავალი თვე გაატარა ციხეში, თუმცა გონივრული ვადის ტესტი არასოდეს ყოფილა გამოყენებული.

83. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო თვლის, რომ კონკრეტული ფაქტების ან ალტერნატიული „აღკვეთის ლონისძიებების“ განუხილველობით, ასევე უმთავრესად ბრალდების სიმძიმეზე დაყრდნობით, ხელისუფლების ორგანოებმა გააგრძელეს განმცხადებლის პატიმრობა ისეთ საფუძველზე, რომელიც არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს „შესაბამისად და საკმარისად“. ხელისუფლების მიერ აუცილებელი არ არის იმის განხილვა, საქმე რთული იყო თუ არა და სამართალწარმოება „კეთილსინდისიერად“ წარიმართა თუ არა. თუმცა წინამდებარე საქმეში სასამართლოს არ შეუძლია, დაეთანხმოს მთავრობის მტკიცებას, რომ განმცხადებლის უარმა, მიეცა ჩვენება, გააჭიანურა

სამართალწარმოება და გამოიწვია სამართალწარმოების გადადება, რაზეც პასუხისმგებელია განმცხადებელი. განმცხადებელი არ იყო ვალდებული, ეთანამშრომლა ხელისუფლების ორგანოებთან და იგი არ შეიძლება, დავადანაშაულოთ იმაში, რომ სრულად გამოიყენა დუმილის უფლება (იხ.: *mutadis mutandis, Yağci and Sargin v. Turkey*, 1995 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება, სერია A, #319-A, § 66; *W. v. Switzerland*, 1993 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება, სერია A, №254-A, § 42). სწორედ პროკურორებს ეკისრებოდათ ვალდებულება, შეეგროვებინათ მტკიცებულებები და წარემართათ გამოძიება იმგვარად, რომ უზურნველეყოთ განმცხადებლის გასამართლება გონივრულ ვადაში. სასამართლო ვერ დარწმუნდა მთავრობის არგუმენტის სისწორეში, რომ გამოძიების გაჭიანურება ბრალად უნდა შერაცხოდა განმცხადებელს.

84. შესაბამისად, დაირღვა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

### **III. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის სავარაუდო დარღვევა**

85. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტზე დაყრდნობით, განმცხადებელი ჩიოდა, რომ მას არ მისცეს უფლება, მონაწილეობა მიედო 2004 წლის 10 აგვისტოს სააპელაციო მოსმენაში. განმცხადებელი ასევე ჩიოდა, რომ სასამართლოებმა სწრაფად არ განიხილეს მისი საჩივრები 2004 წლის 22 სექტემბერს, 22 ნოემბერს, 22 დეკემბერსა და 2005 წლის 21 იანვარს გამოტანილ პატიმრობის ბრძანებებთან დაკავშირებით. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად:

„ ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს, რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს და ბრძანებს გათავისუფლებას, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი.“

#### **ა. დაშვებადობა**

86. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს პრეტენზია არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ პრეტენზია არ არის დაუშვებელი სხვა რაიმე საფუძველზე. შესაბამისად, პრეტენზია დაშვებულად უნდა გამოცხადდეს

## ბ. არსებითი განხილვა

*1. 2004 წლის 10 აგვისტოს სააპელაციო მოხმებაზე  
დაუსწრებლობა*

87. მთავრობამ წარმოადგინა, რომ სასამართლოზე განმცხადებლის დასწრების თხოვნის უარყოფა შესაბამისობაში იყო ეროვნულ კანონმდებლობასთან, რომელიც ზღუდავდა სააპელაციო სასამართლოში იმ პირების დასწრებას, რომლებიც მსჯავრდებულ ან გამართლებულ იქნენ. ნებისმიერ შემთხვევაში განმცხადებლის არგუმენტები ნათლად იყო ჩამოყალიბებული სააპელაციო საჩივარში და არ მოითხოვდა დამატებით განმარტებებს. განმცხადებლის ადვოკატები ესწრებოდნენ სააპელაციო მოსმენას, რაც უზრუნველყოფდა დაცვის უფლებებს. მთავრობამ დაამატა, რომ განმცხადებელი ესწრებოდა 2004 წლის 3 ნოემბერს გამართულ სააპელაციო მოსმენას და მას არ მოუთხოვია შემდგომ სააპელაციო მოსმენებზე გამოცხადების ნებართვა.

88. განმცხადებელი აღიარებდა, რომ მისმა ადვოკატებმა მონაწილეობა მიიღეს 2004 წლის 10 აგვისტოს მოსმენაში. თუმცა განმცხადებელი აცხადებდა, რომ მისი დასწრება აუცილებელი იყო, რადგანაც იგი გეგმავდა, სასამართლოსათვის აღეწერა მისი პატიმრობის საშინელი პირობები. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ განხორციელებული პრაქტიკა აიძულებდა მას, გაეკეთებინა არჩევანი პირად დასწრებასა და მისი წარმომადგენლების დასწრებას შორის. მიუხედავად იმისა, რომ 2004 წლის 3 ნოემბრის მოსმენაზე დასწრების უფლება მინიჭებულ იქნა, ეს ფაქტი ადასტურებს მხოლოდ, რომ სასამართლოები განმცხადებლის შუამდგომლობებს განიხილავდნენ თვითნებურად. განმცხადებელს არ მოუთხოვია შემდგომ მოსმენებზე დასწრების უფლება სასამართლოში ტრანსპორტირების განმახორციელებელ ტრანსპორტში არაადამიანური პირობების გამო.

89. სასამართლო კვლავაც მიუთითებს, რომ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფ პირს უფლება აქვს, აღძრას სამართალაწარმოება სასამართლოში, რათა მან გადამოწმოს პროცედურული თუ არსებითი პირობები, რომლებიც მნიშვნელოვანია „კანონიერებისათვის“, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის გაგებით, თავისუფლების

შეზღუდვისათვის (იხ. *Brogan and Others v. the United Kingdom*, judgment 1988 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება, სერია A, № 154-B, § 65). თუმცა ყოველთვის აუცილებელი არ არის, რომ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოებული პროცედურა უზრუნველყოფილი იყოს იმავე გარანტიებით, რაც საჭიროა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან მიმართებით სისხლის ან სამოქალაქო სამართალწარმოებისას. ამ პროცედურას უნდა ჰქონდეს მართლმსაჯულებითი ხასიათი და უნდა უზრუნველყოფოს შესაბამისი გარანტიებით, რაც საჭიროა შესაბამისი თავისუფლების შეზღუდვის დროს (იხ. *Reinprecht v. Austria*, #67175/01, § 31, ECHR 2005, შემდგომი მინიშნებებით). სამართალწარმოება უნდა იყოს შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული და უნდა უზრუნველყოფდეს მხარეთა თანასწორობას. იმ პირის პატიმრობის შემთხვევაში, რომლის პატიმრობაც ხვდება მე-5 მუხლის 1-ლი (c) ქვეპუნქტის მოქმედების სფეროში, აუცილებელია მოსმენის გამართვა (იხ. *Trzaska v. Poland*, № 25792/94, § 74, 2000 წლის 11 ივლისი). პატიმრის მოსმენა პირადად ან წარმომადგენლების მეშვეობით არის იმ პროცედურის უმნიშვნელოვანების გარანტია, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს თავისუფლების შეზღუდვისას (იხ. *Kampanis v. Greece*, 1995 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება, სერია A, № 318-B, § 47).

90. სასამართლო აღნიშნავს, რომ 2004 წლის 10 აგვისტოს განხილულ იქნა განმცხადებლის მიერ წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული სააპელაციო საჩივარი. სააპელაციო მოსმენას ესწრებოდა პროკურორი და განმცხადებლის ადვოკატი, მაგრამ არა თვით განმცხადებელი, მიუხედავად მისი თხოვნისა, დასწრებოდა მოსმენას.

91. სასამართლო აღნიშნავს, რომ თავდაპირველად განმცხადებელი ითხოვდა სააპელაციო სასამართლოს წინაშე პირადად წარდგომას, რათა წარედგინა თხოვნა გათავისუფლებასთან დაკავშირებით პირადი გარემოებების საფუძველზე. განმცხადებელი, პირველ რიგში, გეგმავდა მისი პატიმრობის საშინელი პირობების აღწერას, რაც მის ადვოკატს საქუთარი თვალით არ ჰქონდა ნანახი. მხოლოდ თავად განმცხადებელს შეეძლო პატიმრობის პირობების აღწერა და მოსამართლის კითხვებზე პასუხის გაცემა, თუკი ასეთი კითხვები დაისმებოდა. უფრო მეტიც, განმცხადებელს პირველად ეძლეოდა შესაძლებლობა, საკითხის განხილვა მოეთხოვა ეროვნულ სასამართლოებში, რადგანაც განმცხადებელს არ შეეძლო სცოდნოდა წინასწარი

პატიმრობის პირობები 2004 წლის 24 ივნისს გამართულ მოსმენაზე, როდესაც მას შეუფარდეს იგი; მეორე რიგში, როგორც ჩანს, სააპელაციო სასამართლომ თავისი სამოტივაციო ნაწილი დააფუძნა განმცხადებლის „პიროვნების“ შეფასებაზე. სასამართლომ ეს განახორციელა წერილობითი დოკუმენტების საფუძველზე, განმცხადებლის დაკითხვისა და მისთვის პირადად პატიმრობის პირობების აღწერის საშუალების მიცემის გარეშე. ბოლოს, სასამართლო აღნიშნავს, რომ სწორედ ამ დროს იმსჯელა სააპელაციო სასამართლომ პირველად იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც განმცხადებლის პატიმრობის სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ მეტყველებდნენ. გამომდინარე პირველი სააპელაციო მოსმენის მნიშვნელობიდან, ასევე სააპელაციო სასამართლოს მიერ განმცხადებლის პიროვნებაზე დაყრდნობა და პატიმრობის პირობების გამო განმცხადებლის გათავისუფლებასთან დაკავშირებული შუამდგომლობის წარდგენის სურვილი საჭიროს ხდიდა განმცხადებლის დასწრებას სასამართლოზე, რათა მას მიეცა საკმარისი ინფორმაცია და ინსტრუქციები თავისი ადვოკატისათვის (იხ. *Graužinis v. Lithuania*, #37975/97, § 34, 2000 წლის 10 ოქტომბერი).

92. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო თვლის, რომ 2004 წლის 10 აგვისტოს სააპელაციო მოსმენაზე დასწრების ნებართვაზე უარის განცხადებამ განმცხადებელს წაართვა უფლება, განეხორციელებინა სასამართლოს ეფექტური კონტროლი მისი პატიმრობის კანონიერებაზე, რასაც ითხოვს კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

93. შესაბამისად, დაირღვა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

## 2. გადასინჯვის სისწრაფე

94. მთავრობამ წარმოადგინა არგუმენტი, რომ განმცხადებლის სააპელაციო საჩივრები განხილულ იქნა ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

95. განმცხადებელი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სახეზე იყო მისი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა და, რომ იგი იმყოფებოდა არაადამიანურ პირობებში. ამიტომაც მისი საჩივრების სწრაფად განხილვა ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

96. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეროვნულ სასამართლოებს დასჭირდათ ოცდათექვსმეტი, ოცდაექვსი და ოცდაცხრა დღე, რათა განეხილათ განმცხადებლის მიერ წარდგენილი საჩივრები პატიმრობის ბრძანებებთან დაკავშირებით (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-14, მე-18, მე-20 და 23-ე პუნქტები). საქმეში არაფერი არ მიუთითებს, რომ განმცხადებელმა საჩივრების შეტანით რაიმენაირად გააჭიანურა გადასინჯვის განხორციელება. სასამართლო თვლის, რომ სსენებული ოთხი პერიოდი არ შეიძლება ჩაითვალოს შესაბამისად „სისწრაფის“ მოთხოვნასთან, რომელიც გათვალისწინებულია მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით, განსაკუთრებით, თუკი მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ სსენებულ პერიოდებზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრებათ ხელისუფლების ორგანოებს (იხ., მაგალითად, *Rehbock v. Slovenia*, № 29462/95, §§ 85-86, ECHR 2000-XII, სადაც 23 დღის განმავლობაში მიმდინარე გადასინჯვის სამართლწარმოება არ იყო „სწრაფი“).

97. შესაბამისად, დაირღვა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

#### IV. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკამაყოფილებას მიაკუთვნებს.“

##### ა. ზოანი

99. განმცხადებელი მოითხოვდა 100 000 ევროს მორალური ზიანისათვის ასანაზღაურებლად.

100. მთავრობა თვლიდა, რომ პრეტენზია გადაჭარბებული და დაუსაბუთებელი იყო და დარღვევის დადგენის შემთხვევაში თვით ეს ფაქტი არის სამართლიანი დაკამაყოფილება.

101. სასამართლო აღნიშნავს, რომ ერთობლივად დადგინდა ადამიანის უფლებათა უმძიმესი დარღვევები. განმცხადებელმა პატიმრობაში გაატარა წელიწადი არაადამიანურ და დირსების

შემლახველ პირობებში. განმცხადებლის პატიმრობა არ ეყრდნობოდა საკმარის საფუძვლებს. მისი სააპელაციო საჩივარი, თავდაპირველად გაცემულ პატიმრობის ბრძანებასთან დაკავშირებით, განხილულ იქნა განმცხადებლის დაუსწრებლად. ბოლოს, რომდენიმეჯერ განმცხადებელს უარი განუცხადეს თავის უფლებაზე, პატიმრობის კანონიერება გადასინჯულიყო სწრაფად. ხსენებულ გარემოებებში სასამართლო თვლის, რომ განმცხადებლის ტანჯვა და უსუსურობა არ შეიძლება კომპენსირებულ იქნეს მხოლოდ დარღვევის დადგნის ფაქტით. სასამართლო თანასწორობის პრინციპის საფუძველზე აღგენს და ანიჭებს განმცხადებელს 16000 ევროს მორალური ზიანისათვის, პლუს გადასახადებს, რომლებიც შეიძლება დაერიცხოს ხსენებულ თანხას.

#### *ბ. ხარჯები და გაწეული დანახარჯები*

102. დოკუმენტურ მტკიცებულებებზე დაყრდნობით და ადვოკატების მიერ შესრულებული სამუშაო განრიგის გათვალისწინებით, განმცხადებელი მოითხოვდა 6150 ევროს ბ-ნი ოვჩინიკოვის მიერ მისი ინტერესების წარმოდგენისათვის და 1750 ევროს ბ-ნი ბაგრიანსკის მიერ მისი ინტერესების წარმოდგენისათვის, რომლებმაც ამ სამუშაოსათვის დახარჯეს 123 და 35 საათი, შესაბამისად: განმცხადებლის განაცხადის ფორმის მოსამზადებლად, კომენტარების წარდგენისა და სამართლიანი დაკმაყოფილების პრეტენზიების მოსამზადებლად. განმცხადებელსა და წარმომადგენლებს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე მათი სამუშაო უნდა ანაზღაურებულიყო საათში 50 ევროს ოდენობის ტარიფით.

103. მოთხოვნილ თანხებს მთავრობა გადაჭარბებულად თვლიდა. მთავრობის მტკიცებით, განმცხადებელმა ვერ დაადასტურა, რომ მისმა წარმომადგენლებმა ნამდვილად დახარჯეს დრო განაცხადის მომზადებისათვის.

104. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, განმცხადებელს უფლება აქვს, მოითხოვოს ხარჯებისა და გაწეული დანახარჯების ანაზღაურება, თუკი განმცხადებელი დაამტკიცებს, რომ ხარჯები და დანახარჯები გაღებულ იქნა რეალურად, აუცილებლობიდან გამომდინარე და გონივრულია. წინამდებარე საქმეში მის წინაშე წარმოდგენილი დოკუმენტების გათვალისწინებითა და ზემოსსენებული კრიტერიუმების მხედველობაში მიღებით სასამართლო

გონივრულად თვლის, მიანიჭოს განმცხადებელს 4500 ევრო, პლუს ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ზემოხსენებული თანხა.

### *გ. საურავი*

105. სასამართლო შესაფერისად თვლის, რომ საურავი უნდა დაწესდეს ცენტრალური ევროპული ბანკის სესხისათვის განკუთვნილი მინიმალური პროცენტის სახით, რომელსაც უნდა დაემატოს სამპროცენტიანი ციფრი.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად

1. აცხადებს განაცხადს არსებით განხილვაზე დაშვებულად;
2. აღვენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, განმცხადებლის პატიმრობის პირობების გამო, რომელიც არსებობდა ვლადიმირის ოლქში არსებულ საპატიმრო დაწესებულება № IZ-33/1-ში;
3. აღვენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი;
4. აღვენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი, ვინაიდან განმცხადებელს არ მიეცა უფლება, დასწრებოდა 2004 წლის 10 აგვისტოს სააპელაციო მოსმენას;
5. აღვენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი, სამართალწარმოების ხანგრძლივობის გამო, რომელიც წარიმართა განმცხადებლის მიერ 2004 წლის 22 სექტემბერს, 22 ნოემბერსა და 22 დეკემბერს და ასევე 2005 წლის 21 იანვარს გამოტანილი პატიმრობის ბრძანებების გასაჩივრების შედეგად შეტანილ სააპელაციო საჩივრებზე;
6. აღვენს,

(ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ იმ მომენტიდან 3 თვის ვადაში, როდესაც წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განმცხადებელს უნდა გადაუხადოს შემდგვი თანხები, რომელებიც გადაყვანილ უნდა იქნეს რუსულ რუბლებში, გადახდის დღისათვის არსებული კურსით :

- (i) 16 000 ევრო (თუქსმეტი ათასი ევრო) მორალური ზიანისათვის;
- (ii) 4 500 ევრო (ოთხი ათას ხუთასი ევრო) ხარჯებისა და გაწეული დანახარჯებისათვის;
- (iii) ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შესაძლებელია დაიბეგროს ზემოხსენებული თანხები.

(ბ) რომ ზემოხსენებული პ-თვიანი ვადის გასვლის შემდგომ გადახდის დღემდე საურავი უნდა იქნეს გადახდილი იმ მოცულობით, რაც უტოლდება ევროპული ბანკის სესხისათვის განკუთვნილი მინიმალურ პროცენტს, რომელსაც უნდა დაემატოს სამპროცენტიანი ციფრი;

#### 7. უარყოფს დანარჩენ პრეტენზიებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, და გაცხადებულია წერილობითი სახით 2006 წლის 1 ივნისს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

სორენ ნილსენი  
რეგისტრატორი

ჩრისტოს როზაკისი  
თავმჯდომარე

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და სასამართლოს რეგლამენტის 74-ე პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, ბ-ნმა როზაკისმა და ვაჯიჩმა განაჩენს დაურთეს ერთობლივი თანმხედრი აზრი.

მოსამართლე როზაკისისა და ვაჯიჩის თანხმვედრი აზრი

ჩვენ, სხვა მოსამართლეებთან ერთად, ერთობლივად ხმა მივეცით კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დადგენას წინამდებარე საქმის გარემოებებში, რადგანაც მივიჩნიეთ, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა შანსი, პირადად გამოცხადებულიყო სააპელაციო სასამართლოს წინაშე, „რათა მოეთხოვა პატიმრობიდან გათავისუფლება იმ საფუძვლებით, რომლებიც უკავშირდებოდა მის პირად სიტუაციას“ (განჩინების 91-ე პუნქტი; ასევე იხ. საქმის ფაქტების მე-12 პუნქტი). გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ სასამართლომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა განმცხადებლის პიროვნებას, მისი პირადად გამოცხადება სასამართლოში დაემარებოდა

სააპელაციო სასამართლოს, საკითხი შეეფასებინა უფრო ნათლად და მიეცა საშუალება განმცხადებლისათვის, თავი დაეცვა უფრო ეფექტურად. (იხ. *mutatis mutandis*, Grauzinis v. Lithuania 34-ე პუნქტი).

ჩვენ კვლავ ძლიერი მჭვები გვაქვს პალატის მიერ მეორე ნაწილში გამოთქმულ არგუმენტაციასთან დაკავშირებით, როდესაც პალატამ ჩათვალა, რომ განმცხადებლის პირადად გამოცხადება ასევე აუცილებელი იყო, რათა მას საშუალება მისცემოდა, განერმარტა მისი პატიმრობის საშინელი პირობები, „რასთან დაკავშირებითაც მის ადვოკატს არ გააჩნდა საქმარისი ცოდნა“ (*ibid*). ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირის პრეტენზიები პატიმრობის თაობაზე, მართალია, შეიძლება იყოს საფუძველი კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებული პრეტენზიების წარსადგენად, მაგრამ ეს პრეტენზიები არ ხვდება მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დაცვის სფეროში, რომელიც ყველა დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფ პირს აძლევს უფლებას, აღძრას სამართალწარმოება „სასამართლოს წინაშე, რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს და ბრძანებს გათავისუფლებას, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი“.

მართალია, ისეთი სიტყვების გამოყენება, როგორებიც არის: „კანონიერება“ და „კანონიერი“ პატიმრობის კონტექსტში, შესაძლოა ჩაითვალოს, რომ ასევე მოიცავს ისეთ სიტუაციებს, როდესაც პატიმრობის პირობები არღვევს შიდა კანონმდებლობას ან თავად კონვენციას. სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს მაინც არასოდეს განუმარტავს სექნებული დებულება ამგვარად. ტერმინები: „კანონიერება“ და „კანონიერი“ ყოველთვის განიმარტებოდა ისე, რომ ისინი მოიცავდნენ მხოლოდ პროცედურულ გარანტიებს, რომლებიც მოცულია ეროვნული სამართლით ან კონვენციით, და არა ისე, რომ მოიცავდნენ პატიმრობის არსებით პირობებს. ყოველივე ამის შემდგომ კანონიერების განხილვა არ არის აბსტრაქტული ქმედება, არამედ დაკავშირებულია პატიმრობაში მყოფი პირის გათავისუფლებასთან, თუკი დადასტურებულია, რომ პატიმრობა არ არის კანონიერი; და ჩვენ ძალიან გვევლება, რომ სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად, იმ შემთხვევაში, თუკი პატიმრობის პირობები არ შეესაბამება შიდა და საერთაშორისო სტანდარტებს, კანონიერი უნდა იყოს პატიმრობაში მყოფი პირის გათავისუფლება. ნათელია, რომ ასეთ საჩივარს, თუკი იგი მიღებული იქნება სასამართლოების მიერ, შეუძლია შეცვალოს პატიმრობის პირობები, მაგრამ არ შეუძლია გაათავისუფლოს პატიმარი. აქედან გამომდინარე,

პატიმრობაში მყოფი პირის მიერ ასეთ პირობებზე დაყრდნობა არ შეიძლება იყოს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის გამოყენების საფუძველი, თუმცა, რა თქმა უნდა, ასეთი პრეტენზია ხვდება კონვენციის სხვა მუხლების დაცვის სფეროში.